ტერიტორიების განსაზღვრისათვის ლანდშაფტების ესთეტიკური და რეკრეაციული შეფასება გის-ანალიზის და პერცეპციის მეშვეობით

ნელი ჯამასპაშვილი[ა], ნინო პაიჭაძე[ბ]

ელ-ფოსტა: neli.jamaspashvili@tsu.ge

ა თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
გეოგრაფიის დეპარტამენტი, თბილისი, ი.ჭავჭავძის გამზირი #3, II კორპუსი

ტერიტორიების განსაზღვრისათვის ძალზე ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ტერიტორიის გის-ანალიზი და პერცეპცია. გის-ანალიზი თავისთავში მოიცავს არსებული მონაცემების ბანკის ანალიზს და გეოინფორმაციულ სისტემებს, ტერიტორიის მნიშვნელოვანის თვალსაზრისის გამოვლენისათვის. პერცეპცია ძალზე მრავალფეროვანია და ხშირად სუბიექტურ ხასიათს ატარებს.

ლანდშაფტების ესთეტიკური შეფასება მჭიდროდაა დაკავშირებული ცალკეული ადამიანის ან სოციალური ჯგუფის პერცეპციასთან (perception) ანუ, აღქმასთან. პერცეპცია ძალზე მრავალფეროვანია და ხშირად სუბიექტურ ხასიათს ატარებს. ჩვენ ვიყენებთ იმ კრიტერიუმებს, რომლებიც მიღებულია ლანდშაფტების ესთეტიკური შეფასების დროს. ეს კრიტერიუმები შემდეგია:

1. პირველი კრიტერიუმი. ლანდშაფტის ჩაკეტილობა-გახსნილობა. ჩაკეტილობა ანუ დახურული ლანდშაფტის ქვეშ იგულისხმება ისეთი ტერიტორია, სადაც ცოტაა ხილვადობის წერტილები. ღია ლანდშაფტის ქვეშ კი იგულისხმება, პირიქით ისეთი ლანდშაფტები, საიდანაც ხილვადობა მაღალია.
2. მეორე კრიტერიუმი დაკავშირებულია ლანდშაფტის შიდა მრავალფეროვნებასთან. ის ტერიტორია, სადაც მოკლე მანძილზე სხვადასხვა ფაციესები გვხვდება უფრო მაღალ ესთეტიკურ შეფასებას იღებს, ვიდრე ტერიტორია სადაც ერთი მონოტონური ფაციესი ჭარბობს.
3. მესამე კრიტერიუმი დაკავშირებულია ესთეტიკურ სრულყოფილებასთან. მაგალითად, გასაგებია, რომ მაღალი ხეებისაგან შემდგარი ტყეები ესთეტიკურად უფრო მოსაწონია, ვიდრე ტანბრეცილა დერივატები.

ამ სამ მაჩვენებელს ლანდშაფტურ - ესთეტიკური შეფასების დროს ეძლევა სამ-სამი ბალი. ამათ ემატება ე.წ. 'საავტორო ბალი~, რომლის მინიჭებას ექსპერტი აკეთებს თავისი მოსაზრების გამო. ამგვარად, ლანდშაფტს, რომელიც ყველაზე მაღალ შეფასებას იღებს ექნება 10 ბალი. ლანდშაფტის ესთეტიკური შეფასების დროს ყველა ლანდშაფტი იყოფა 3 ჯგუფად (კრიტერიუმები და მეთოდიკა დამუშავებულია ნ.ჯამასპაშვილის მიერ, 1999, 2000, 2002, 2014 [ა], [ბ] წწ., დისერტაციის თემა: დაცული ტერიტორიების შერჩევის გეოგრაფიული ანალიზი (მცირე კავკასიონის ცენტრალური ნაწილის და მიმდებარე ტერიტორიების მაგალითზე), 2002):

1. მაღალი 8-10 ბალი;
2. საშუალო 4-7 ბალი;
3. დაბალი 3-ზე ნაკლები.

ლანდშაფტის რეკრეაციული შეფასების დროს მხედველობაში ღებულობენ შემდეგ პარამეტრებს:

1. არსებული კურორტების ქსელს და ამ კურორტების ხასიათსა და ტევადობის ხასიათს.
2. კურორტების შექმნის პოტენციალურ შესაძლებლობას.
3. ლანდშაფტის ესთეტიკურ შეფასებას.
4. გზების და ბილიკების არსებობას.

5. კულტურული მემკვიდრეობის ან ბუნებრივი ძეგლების არსებობას და მათ პოპულარობას.

მაგალითად, მცირე კავკასიონის ცენტრალურ ნაწილს, რეკრეაციული ათვისების დიდი ხნის ისტორია გააჩნია. აქ განლაგებულია მრავალი კურორტი, ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილი. პირველი დაკავშირებულია თბილისის მიმდებარე ტერიტორიებთან ე.წ. საგარეუბნო კურორტებთან (წყნეთი, კოჯორი, კიკეთი, მანგლისი და სხვ.), ხოლო მეორე - ბორჯომის ჯგუფის კურორტებთან (ბორჯომი, ბაკურიანი, ცემი, წაღვერი, ქვიშხეთი და სხვ.)

ძამის, ტანის და თეძამის აუზებში განლაგებულია საკურორტო ადგილების მესამე ჯგუფი (ნამდვილი კურორტები აქ არ არის) მათ აქვთ ადგილობრივი მნიშვნელობა. ამიტომ მოცემულ ტერიტორიებზე ამ საკურორტო ადგილებთან დაკავშირებით რაიმე სპეციალური გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩატარება საჭირო არ არის. თბილისის შემოგარენში განვითარებულია დასვენების ***დღის ტურიზმი.***

ძამის და ბევრეთის დაცული ლანდშაფტების ტერიტორიები შეიძლება გადაიქცეს ინტენსიური ***ქვეითი ტურიზმის*** ადგილებად, თუმცა ამისათვის აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა (ბილიკების გაყვანა, ეკოტურიზმისათვის მარშრუტების შედგენა, ღამის გასათევი ადგილების მოწყობა და სხვ.).

მსგავსი ტერიტორიების განსაზღვრისათვის აუცილებელია მრავალი ფაქტორის ერთობლივი ანალიზი. აქედან ძირითადია **გის-ანალიზი საკრებულოს მონაცემების მიხედვით**.

მაგალითად მდ. ტანას ხეობაში მთიან ნაწილში განლაგებულია 4 საკრებულო. ყველა ამ საკრებულოების მოსახლეობის ფორმირება მოხდა ბოლო 1-2 ასწლეულის განმავლობაში და დაკავშირებული იყო მოსულ ოს და ნაწილობრივ აზერბაიჯანელ მოსახლეობასთან, რომელიც, წინა საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებთან დაკავშირებით ნაწილობრივ შეიცვალა ქართველი მოსახლეობით. ამ საკრებულოებში არ არის მიწათსარგებლობის არანაირი ძველი ტიპები და არ არის ადამიანის და ბუნების „ურთიერთობათხელოვნების“ იღბლიანი მაგალითები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საუკუნის დასაწყისში მდ. ტანას ხეობაში გაიყვანეს რკინიგზა და ტყის რესურსებმა უცხოელი ინვესტორების მხრიდან შეუბრალებელი ექსპლოატაცია განიცადა. 1919 წელს აქ იყო დიდი ხანძარი, რომელმაც პრაქტიკულად გაანადგურა ტანას ხეობის მარცხენა მხარის ტყის მასივები. ასეთ ასპექტში ეს ალბათ ადამიანის და ბუნების ურთიერთობის უიღბლო მაგალითია, ვიდრე ადამიანის და ბუნების იღბლიანი ურთიერთობა.

აგრეთვე საქართველოში უკვე გვაქვს ტერიტორიის განსაზღვრის გამოცდილება, რომელიც შეიძლება შევიდეს UNESCO- ს მსოფლიო მემკვიდრეობის ქსელში, ასეთ ტერიტორიებს 2000 წლიდან მიეკუთვნება: ქალაქი მცხეთა, ბაგრატის ტაძარი ქუთაისში და უშგულის თემი სვანეთში.

საკვანძო სიტყვები: პერცეპცია, ესთეტიკური, რეკრეაციული, შეფასება, გის-ანალიზი